

ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა
და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი

საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებების შეფასება



Analytical Center for Interethnic
Cooperation and Consultations

Assessment of the needs of the community based organizations of ethnic minorities in Georgia

თბილისი
2012

საავტორო კოლექტივი

საექსპერტო გუნდი: აგიტ მირზოევი, გიორგი სორდია

კონსულტანტი: ჯეისონ სტრაიქსი

პუბლიკაციის რედაქტორი: ალექსანდრა დელემენჩუკი

ეს კვლევა არასდროს არ ჩატარდებოდა, რომ არა ენერგიული, კრეატიული, აქტიური და თავისი საქმის ერთგული ეთნიკური უმცირესობების სათემო ორგანიზაციების ლიდერები. სწორედ ისინი არიან ამ კვლევის ჭეშმარიტი ავტორები.

ავტორების მიერ მოცემულ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Collective of authors:

Expert team: Agit Mirzoev and Giorgi Sordia

Consultant: Jason Strikes

Editor of the Publication: Alexandra Delemenchuk

Given research would never happen without energetic, creative, active and devoted to their work leaders of the ethnic minority community based organizations of Georgia. They are real authors of the given research.

The views and opinions expressed by the authors of the given research are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

სარჩევი

მოკლე შესავალი (ინგლისურ ენაზე)	5
შესავალი.	6
პროექტის მიზნები და განხორციელების მეთოდოლოგია	8
ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები და მათი მიზნობრივი ჯგუფები.	9
ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებები	13
ეროვნული უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები: დაინტერესებული მხარეების შეფასება	15
რეკომენდაციები.	22
დანართი 1	24
დანართი 2	26
დანართი 3.	28
დანართი 4	37
დანართი 5	38
დანართი 6	39

ბერფასო მკითხველო,

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის მიერ, რომელიც არამომგებიანი ანალიტიკური ორგანიზაციაა. იგი მუშაობს ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების, უმცირესობათა უფლებების დაცვის, შემწყნარებლობის ხელშეწყობის და მრავალფეროვნების მართვის საკითხებზე საქართველოში და საერთაშორისო დონეზე. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.acicc.ge.

ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრს უმცირესობებთან, შემწყნარებლობასთან და სიძულვილის დაძლევის პოლიტიკასთან მიმართებით შემდეგი მიდგომა აქვს: უმცირესობათა პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ უმცირესობათა თემების კულტურისა და მემკვიდრეობის გადარჩენით და უმცირესობები არ უნდა განისაზღვრონ „ცალკე ჯგუფებად“, რომლებსაც „დამახასიათებელი პრობლემები“ აქვთ „გარკვეულ პირობებში“ და ა.შ. უმცირესობათა პოლიტიკაში უნდა მოხდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ხარისხიანი სამოქალაქო, პოლიტიკური და ეკონომიკური მონაწილეობის შერწყმა და მათი საჭიროებებისა და სწრაფვების ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის ყველა ასპექტში, ენერგეტიკის სექტორით დაწყებული, ადგილობრივი განვითარებით დამთავრებული, სიძულვილისა და დისკრიმინაციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის მქონე საზოგადოების შექმნის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში უმცირესობათა ინტეგრაცია ბუნებრივად მოხდება, ხოლო კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთ შემთხვევაში მოხდება არა ინტეგრაცია, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი განვითარება. ეს ამავდროულად ხელს შეუწყობს უმცირესობათა იზოლირებისა და უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის უნდობლობის დაძლევას, და უმცირესობას, დახმარების პასიური მიძღვრიდან, აქტიურ მოქალაქედ აქცევს. ეს სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვის არა მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით, არამედ შექმნის საშუალებას გამოყენებული იქნეს საზოგადოების ყველა პროდუქტიული რესურსი და სოციალური ქველმოქმედების, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისა და ადგილობრივი განვითარების ტვირთი გარკვეულწილად სახელმწიფოდან გადაიტანოს ძლიერ თემებზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე. ამ პროცესში მთავარ როლს თემებზე დაფუძნებული ორგანიზაციები ასრულებენ, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების თემებს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ, ეს კვლევა ეძღვნება მათი პრობლემების სქემატურ ასახვას და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას საზოგადოებასა და პირობებზე მათი ზეგავლენის განმტკიცების შესახებ. ეთნოსთაშორისი თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრისთვის ეს სქემატური ასახვა იქნება თემებზე დაფუძნებული ორგანიზაციების სამომავლო მუშაობის სახელმძღვანელო, მათი შესაძლებლობების განმტკიცებისკენ მიმართულ საქმიანობაში. ჩვენ ვიწვევთ დაინტერესებულ პირებს შემოგვიერთდნენ ამ სამუშაო პროცესში!

საუკეთესო სურვილებით,

აგიატ მირზოევი

ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების
ანალიტიკური ცენტრის დირექტორი

Executive Summary

This research was dedicated to the assessment of the needs of the community based ethnic minority organizations in Georgia. It revealed that mentioned tyoe of the organizations experiences specific conditions among which are:

1. Informational isolation related both to the orgaisations of ethnic minority community based organisations and stakeholders
2. Lack of capacities on development issues, informational strategies, fundraising, charity resource mobilization, advocacy and international systems for protection of minority and human rights
3. Unsufficent liason of the ethnic minority community based organizations with own constituencies and other parts of the civil society
4. Unsifficent linkage of the ethnic minority community based organizations with mass media
5. Work limited only to the regions with the compact settlement of minorities or the capital while it is necessary to work with all regions of Georgia on the issues of cultural diversity, interethnic relations, tolerance and intercultural education
6. Lack of attention of the ethnic minority community based organizations to the development of the informational technologies, fundraising and charity strategies, attention to the modern informational technologies and profund liason with the local communities
7. Representatives of the community based organizations need training on the issues related to the organisaitonal development, funraising, charity, informational strategy, advocacy and public informational campaigns
8. Ethnic minority community based organisaitons need to become aware that they are representatives of the community and should liaosn with the community on permanent basis beig part of its development efforts

Research is carried out by the Analytical Cneter for Interethnic Coooperaiton and Consultaitons and included assessment of the 26 community based organizations of ethnic minority communities, 6 focu groups in the different regions of Georgia and more than 20 expert interviews. We hope that results of the given research will be undertaen by the ethnic minority CBOs, ethnic minority communities, donor and international organizations for the further programming and support to the key actors in the development of the harmonious interethnic relations in Georgia – community based organizations of ethnic minorities.

შესავალი

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია ქართული დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე არაერთი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელებულა ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი წინსვლა უმცირესობათა ინტეგრაციის და ჩართულობის თვალსაზრისით არ ფიქსირდება. სახელმწიფო ენის არასათანადო დონეზე ცოდნა, რეგიონული იზოლაცია, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები, გარკვეული ჯგუფების მარგინალიზაცია, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებისათვის კულტურული და ლინგვისტური თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემები კვლავ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ საკითხებს წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავეს ის ფაქტი, რომ ეროვნული უმცირესობები ქვეყანაში საერთო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, სტატისტიკური მონაცემებით მათი რაოდენობა საერთო მოსახლეობის 16%-ია, რაც თავისთავად მეტყველებს ზემოჩამოთვლილი პრობლემების გადაუდებელი მოგვარების საჭიროებაზე.

ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერების თვალსაზრისით ეფექტურ სახელმწიფო პოლიტიკას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, წინა წლებისაგან განსხვავებით, როდესაც ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატიკა მეტწილად იგნორირებული იყო ხოლმე ხელისუფლების მხრიდან, უკანასკნელ წლებში აღნიშნულმა პოლიტიკამ უფრო თანმიმდევრული სახე მიიღო და ორიენტირებული გახდა ეროვნული უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერებაზე. ამ პოლიტიკის გამოხატულებაა მთავრობის მხრიდან ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის სახელმწიფო კონცეფციის და ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2009 წელს. ამასთან

ერთად გაუმჯობესდა ეროვნულ უმცირესობათა მართვის პოლიტიკის განხორციელება და შესაბამისი ინსტიტუტების კომპეტენცია, რაც ყველაზე მთავარია გაჩნდა პოლიტიკური ნება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემეტიკის მოგვარებისათვის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა არ გახლავთ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემეტიკის მოგვარების ერთადერთი წინაპირობა, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია ასევე თავად ეროვნულ უმცირესობათა თემებს და მათ აქტიურობას. ამ თვალსაზრისით კი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების უმეტესობა საკმარისად არ არიან მობილიზებული საკუთარი პრობლემეტიკის წარმოსაჩენად და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის საკონსულტაციო ფუნქციების გაწევისათვის. სახელმწიფო დონეზე მართალია არსებობს ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელიც სახალხო დამცველის ოფისის ფარგლებში აერთიანებს ეროვნულ უმცირესობათა სხვადასხვა ორგანიზაციებს, მაგრამ აღნიშნული საბჭო ეფექტური არის მხოლოდ ფასილიტაციის და ტექნიკური დახმარების გაწევის შემთხვევაში. ეროვნულ უმცირესობათა ცალკეულ სათემო ორგანიზაციებს რაც შეეხება მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ადვოკატირების წარმოების შესაძლებლობა, ასევე მათი წვლილი საერთო-სამოქალაქო პროცესებში მინიმალურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც შეისწავლიდა და გამოაანშვარავებდა ერთის მხრივ ეროვნულ უმცირესობათა თემების პრობლემებს და ამავე დროს წარმოაჩენდა მათ ძირითად საჭიროებებს. აღნიშნული საჭიროებების განსაჯაროება და მათზე დისკუსიების წარმართვა კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას.

პროექტის მიზნები და განხორციელების მეთოდოლოგია

ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები მოქმედებენ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, იმ რეგიონებში სადაც ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილი არიან როგორც კომპაქტურად, ასევე დისპერსულ დასახლებებში. კერძოდ ასეთი სათემო ორგანიზაციები ფუნქციონირებენ დედაქალაქში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში და აჭარაში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვლევის ჩატარება და შესაბამისი საჭიროებების გამოვლენა თბილისში, ორ კომპაქტურად დასახლებულ რეგიონსა (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) და კახეთში. განხორციელებული პროექტი მიზნად ისახავდა ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებების შესწავლას და ეროვნულ უმცირესობათა მართვის პოლიტიკის განვითარების უკეთესი მოდელის მიღწევისათვის შესაბამისი რეკომენდაციების და ინიციატივების შეთავაზებას. ქვემოჩამოთვლილი ძირითადი მიგნებები და დასკვნები ეყრდნობა როგორც ცალკეულ ექსპერტებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, თუ ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების წევრებთან პირისპირ შეხვედრებს, ასევე ჯგუფურ ინტერვიუებს და ფოკუს ჯგუფების შედეგებს.

ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები და მათი მიზნობრივი ჯგუფები

ეთნიკური უმცირესობების სათემო ორგანიზაციების მიერ ძირითადი სამიზნე ჯგუფებისთვის უზრუნველყოფილი მომსახურების ხარისხის, კავშირების სიმყარის, სათემო ორგანიზაციების მიერ თემთა რეპრეზენტატობის ლეგიტიმურობისა და ორგანიზაციების საზოგადოებაზე გავლენის გამოკვლევის მიზნად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული იყო ფოკუს-ჯგუფები, როგორც კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ასევე ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლება არ შეინიშნება. მონაწილეთა შერჩევა იყო შემთხვევითი (იხილეთ თავი „მეთოდოლოგია“)

ფოკუს-ჯგუფების ძირითადი მიზანი იყო საზოგადოების წევრების (როგორც ეთნიკური უმცირესობების, ასევე უმრავლესობის წარმომადგენელთა) დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მუშაობისადმი, ცნობიერების დონისადმი, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე შესაძლო გავლენისადმი.

ეროვნული უმცირესობების თემთა წარმომადგენლებთან მუშაობისას გამოვლინდნენ შემდეგი ტენდენციები:

- ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ცენტრში, იშვიათად ინტერესდებიან პრობლემებით ადგილებზე და არ ფლობენ სრულ ინფორმაციას კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში თემთა პრობლემების შესახებ.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები არ ფლობდნენ ინფორმაციას ეროვნული უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების ბუნების შესახებ, და რომ სათემო ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ თემთა ინტერესები.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ინფორმაციას ფლობდნენ

სათემო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადად კულტურულ ასპექტებზე, კერძოდ კი გამოფენებისა და კონცერტების, როგორც ერთჯერადი ღონისძიებების შესახებ.

- თემები არ მონაწილეობენ სათემო ორგანიზაციების ფინანსირებაში.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების განზოგადოებისადმი, მათ შორის კონსოლიდური პოზიციის არ არსებობისადმი, და იმ საჯარო პოზიციებისადმი, რომელიც თემთა სახელით ორგანიზაციების მმართველები ხშირად აკეთებენ.
- მონაწილეები უარყოფითად აფასებდნენ ცალკე ორგანიზაციების პოლიტიზირებას.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ არასდროს/ იშვიათად მიუღია დახმარება სათემო ორგანიზაციებისგან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათ ვერ მოიყვანეს მიმართვის ვერც ერთი მაგალითი, რაც მიუთითებს სათემო ორგანიზაციების საქმიანობის ინფორმირებულობის დაბალ დონეზე/არარსებობაზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ცნობირების დონე ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ იყო სხვადასხვა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ქვემო ქართლში იყვნენ უფრო ინფორმირებულნი სათემო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ქვემო ქართლში რამდენიმე მონაწილემ დადებითაც კი შეაფასეს სათემო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო, იურიდიული და სხვა ტიპის მომსახურება.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ძირითადად არ ფლობდნენ ინფორმაციას ეროვნული უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების ინფორმაციული პროდუქციისა და ვებ-საიტების შესახებ.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების ძირითადი ნაწილი პირადად არ იცნობდა სათემო ორგანიზაციების ლიდერებს, მათ შორის

იმათ, რომლებიც ხშირად მთელი თემის სახელით გამოდიან განცხადებებით.

მონოეთნიკურ რეგიონებში ეთნიკურ უმრავლესობასთან მუშაობისას გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები კიდევ უფრო ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, და მათ მიერ კომპაქტურად დასახლებული რეგიონების პრობლემატიკის შესახებ.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აგრეთვე აღნიშნავენ იმას, რომ მათ სურთ მეტი ინფორმაცია მიიღონ მოცემული პრობლემების შესახებ და აქ სათემო ორგანიზაციების შესაძლო როლს ხედავენ.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს ბოშების პრობლემატიკა და ამ თემთან მომუშავე ორგანიზაციების უკმარისობა.
- მონაწილეები ხშირად ღიად იყენებდნენ ქსენოფობიურ გამონათქვამებს ეთნიკური უმცირესობებისადმი, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ინფორმირებულობის არასაკმარის დონედ.
- მონაწილეებმა აღნიშნეს ისეთი პროგრამების შემუშავება და რეალიზება, რომლებიც გააცნობდნენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს და რეგიონებს ერთმანეთს.

ყველა ზემოთ აღნიშნული თეზისი საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ რეკომენდაციების კრებული ეროვნული უმცირესობების სათემო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მათ შორის დონორთათვის.

- აუცილებელია გაძლიერდეს კავშირი სათემო ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე ჯგუფებს შორის სათემო ორგანიზაციების

საქმიანობის შესახებ საზოგადოებების მუდმივი ინფორმირების მეშვეობით, სათემო ორგანიზაციების საქმიანობის ანგარიშების პრაქტიკის დანერგვა, სათემო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მედიის საშუალებით.

- საჭიროა სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერა საკუთარი საქმიანობის შესახებ საინფორმაციო პოლიტიკისა და ინფორმირების სტრატეგიის ფორმირებაში, მათ შორის მთელი რიგი საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარება სათემო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.
- საჭიროა ერთი თემის სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის მედიაციის ხელშეწყობა, მსგავსი ორგანიზაციების ქსელებისა და თემატური კოალიციების შექმნის მხარდაჭერა და თემისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხებთან დაკავშირებით კონსოლიდირებული პოზიციების შემუშავება. ამ მიზნით სადისკუსიო გარემოებების შექმნა და სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს პლატფორმის, როგორც სადისკუსიო და მედიაციული ველის გამოყენება.
- ისეთი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, რომლებიც უკავშირდებიან ინფორმაციის გაცვლასა და ეთნიკურ თემებსა და რეგიონებს შორის ერთობლივ საქმიანობას. ასეთი პროგრამები შეიძლება იყოს მიმართული, როგორც ახალგაზრდებზე, პედაგოგებზე, ჟურნალისტებზე, სათემო აქტივისტებზე, ასევე უშუალოდ თემებზე.
- საჭიროა ისეთი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, რომლებიც მიმართულია საზოგადოებაში ქველმოქმედების კულტურის ფორმირებისკენ, და უშუალოდ სათემო ქველმოქმედების კულტურის დანერგვაზე, გამომდინარე სოციალური შესაწირის საჭიროებებისა და თემის განვითარების აუცილებლობისა.

ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებები

ჩვენი კვლევის მოცემულ თავში მოყვანილია სათემო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება. კვლევისთვის შერჩეული იყო 30 ორგანიზაცია (26 დათანხმდა), თანაბრად წარდგენილნი დედაქალაქსა და რეგიონებში, სხვადასხვა ეთნიკური თემი; პოლიტიკურად თავისუფალი და მიკერძოებული; შექმნილი 90-იანი წლების დასაწყისში და ცოტა ხნის წინ; ფინანსურად მდგრადი და რესურსების პოვნაში არსებულნი - მათ ყველამ აჩვენეს შემდეგი ტენდენციები:

- ორგანიზაციების საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ტიპი არის „კულტურათმორისო დიალოგი“, რომელიც აღნიშნა 15-მა რესპოდენტმა, ამის შემდგენ „თემის განვითარება“ – 13-მა რესპოდენტმა და „განათლება, მათ შორის სკოლამდელი, საშუალო, უმაღლესი, ხანდაზმულთათვის ფორმალური და არაფორმალური“ – 14-მა რესპოდენტმა. ამის შემდეგ „უმცირესობების უფლებები“ და „საერთაშორისო სტანდარტები“ – 8 რესპოდენტი, „კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება“ – 10 რესპოდენტი, „ახალგაზრდების აქტიურობა“ – 13 რესპოდენტი, „სახალხო დიპლომატია და მშვიდობა“ – 6 რესპოდენტი. სამ პრიორიტეტულ ტიპად აღნიშნული იყო: „კულტურათმორისო დიალოგი“ – 15 რესპოდენტი, „კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება“ – 14 რესპოდენტი, „თემის განვითარება“ – 6 რესპოდენტი, „განათლება, მათ შორის სკოლამდელი, საშუალო, უმაღლესი, ხანდაზმულთათვის ფორმალური და არაფორმალური“ – 14 რესპოდენტი და „კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შენარჩუნება და გამრავლება“ – 10 რესპოდენტი.
- ძირითად სამიზნე ჯგუფებად დასახებულნი იყვნენ ეთნიკური უმცირესობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები,

ქალები, ახალგაზრდები.

- ძირითად აქტივობებს შორის დასახელებული იყო ინფორმაციული და საგანმანათლებლო საქმიანობა.
- ორგანიზაციების უმეტესობამ აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფენ მომსახურებას ენის, ისტორიის, კულტურის შესწავლის სფეროში. ნაწილმა აღნიშნა იურიდიული კონსულტაციებით და ტრენინგებით უზრუნველყოფა.
- ორგანიზაციების უმეტესობა ავრცელებს ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებს.
- ორგანიზაციების უმეტესობამ აღნიშნა ტექნიკური რესურსებისა და კადრების უკმარისობა.
- ორგანიზაციების უმეტესობისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომია, თუმცა მათ არ გააჩნიათ თავისი ვებ-რესურსები და გვერდები სოციალურ ქსელებში.
- ორგანიზაციების ძირითად საჭიროებებად დასახელებული იყო: ფინანსირება, ტექნიკა, კადრების მომზადება, მედიის ხელმისაწვდომობა.
- ძირითადად ორგანიზაციებს არ აქვთ ბიბლიოთეკები, აუდიო და ვიდეომასალების კოლექციები, კვალიფიცირებული ქორეოგრაფები და ვოკალისტები, ხშირად მათ არ აქვთ ეროვნული ტანსაცმელი.
- სათემო ორგანიზაციების მხრიდან დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციების თვალსაზრისით ძირითად პრობლემებად დასახელებული იყო მოცემული ორგანიზაციების დახურულობა. ასევე სათემო ორგანიზაციების უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მათ შესაბამისი რესურსების პოვნაში კომპეტენცია არ ყოფნით.
- ორგანიზაციების უმეტესობამ აღნიშნა, რომ არ არის დაკავებული კვლევებით, შესაბამისი ინტერესების ლობირებითა და

ადვოკატურებით, არ მონაწილეობს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და სხვა თემების ან არასამთავრობო ორგანიზაციების პარტნიორულ პროექტებში.

- ორგანიზაციები ძირითადად ფინანსდებიან თემის დახმარებით და არ მუშაობენ ქველმოქმედების კულტურის განვითარებაზე.

ეროვნული უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები: დაინტერესებული მხარეების შეფასება

მოცემულ თავში მოყვანილია ექსპერტთა ინტერვიუს ანალიზის შედეგები, რომელიც ტარდებოდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო და დონორულ ორგანიზაციებთან, ასევე ექსპერტებთან, რომლებიც მუშაობენ ეთნოსთაშორისო ურთიერთობების, უმცირესობების დაცვისა და ტოლერანტობის და მრავალფეროვნების განვითარების სფეროებში. მოცემული ინტერვიუ მიზნად ისახავდა მიეღო სათემო ორგანიზაციების საქმიანობის, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა და ურთიერთკომუნიკაციის ექსპერტული შეფასება, აგრეთვე საქართველოს თანამედროვე საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების განვითარების პოტენციალის ხედვის ფორმირება.

პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და სათემო ორგანიზაციების საჭიროებები

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე ძირითადი მიგნებები და საჭიროებები შემდეგნაირად გამოიკვეთა:

- სხვა ქართული ორგანიზაციებისაგან განსხვავებით ეროვნულ უმცირესობათა მიერ დაარსებული სათემო ორგანიზაციები გამოირჩევიან იმით, რომ მათი საქმიანობა

ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი თემის საჭიროებებზე მუშაობით და ნაკლებად არის ორიენტირებული ზოგადსახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაზე და შესაბამისად ისეთი საკითხები როგორცაა ეკონომიკური ხასიათის გამოწვევებზე მუშაობა, საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება ან ეკოლოგიური გარემოს სრულყოფა ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების პრიორიტეტებს არ წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა ასეთი ორგანიზაციების მთავარი დაინტერესების საგანს წარმოადგენს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

- მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები არ განიცდიან ორგანიზაციის შექმნასთან ან მის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით არანაირ სამართლებრივ ან სხვა სახის პრობლემას მათი შესაძლებლობები შეზღუდულია და ჩამორჩება სხვა ორგანიზაციებს. ამ თვალსაზრისით მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად გაცხადებული მიზნებისა და დეკლარირების დონეზე პოზიტიური ამოცანებისა ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების უმეტესობას არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და ორგანიზაციული მართვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა შედეგზე ორიენტირებული საქმიანობისათვის. აღნიშნული პრობლემა თავის ნეგატიურ გამოვლინებას ახდენს ასევე იმ გარემოებაში, რომ დონორი ორგანიზაციები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მართალია აფინანსებენ მათ პროექტებს, მაგრამ მაღალი რისკის გამო ეს პროექტები როგორც წესი მცირე ბიუჯეტისაა, რასაც არ შეუძლია რეალური ცვლილება შეიტანოს ქვეყანაში სამოქალაქო განვითარების თუ ეროვნულ უმცირესობათა თემების ინტერგაციის საქმეში.

- კვლევის შედეგად არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა ისეთი საკითხი, როგორცაა ეროვნული უმცირესობათა თემებში სამოქალაქო ერთიანობის/ერთობის არარსებობა. ეროვნულ უმცირესობათა თემებს საქართველოში არ გააჩნიათ ერთიანი პოზიციის გამომხატველი არც ორგანიზაციული მექანიზმი და არც პიროვნული ლიდერის ინსტიტუტი. თითოეული თემი, განურჩევლად მათისი დიდისა წარმოდგენილია რამდენიმე, ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე ათეული მცირე ორგანიზაციის მიერ, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ქიშპობით გამოირჩევიან. ასეთი სახის პრობლემები განსაკუთრებით თვალში საცემი და ნიშანდობლივია მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებში. აღნიშნული გარემოება ხელს უშლის არამარტო ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციულ განვითარებას, არამედ ზოგადად საერთო-სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.
- ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები გამოირჩევიან წევრთა მცირერიცხოვნობით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში არ იცვლება და ორგანიზაციის ახალ წევრებს ნაკლებად აქვთ თავის გამოჩენის საშუალება. აღნიშნული საკითხი მიანიშნებს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორგანიზაციების შიგნით არ მოქმედებს დემოკრატიული პრინციპები და უმეტეს შემთხვევაში ორგანიზაციის ხელმძღვანელი ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. ამავე პრობლემას უკავშირდება ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის გაუმართაობა და შიდა ბიუროკრატიის არარსებობა.
- ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების წევრთა სიმცირე ასევე პირდაპირ კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან პრობლემასთან როგორცაა ამ ორგანიზაციათა ცნობადობა და გავლენა საკუთარ თემში. კვლევის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი

ამოცანა იყო სწორედ თემს და სათემო ორგანიზაციებს შორის კავშირის შესწავლა. ჩატარებული კვლევის და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ასეთი კავშირი უმეტეს შემთხვევაში მინიმალურ დონეზე არსებობს. კერძოდ ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის ფართო მასები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები მათი ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციების შესახებ, ან თუ სმენიათ ასეთი ორგანიზაციების არსებობის თაობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მათი საქმიანობის შესახებ.

- ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური არის რეგიონებში. გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენა მართალია ზოგადად ქართული არასამთავრობო სექტორის პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების შემთხვევაში ეს უფრო თვალსაჩინოა. ადგილობრივი ხელისუფლებების და მთავრობების მხრიდან თანამშრომლობის მზაობის სიმცირის გარდა პრობლემას წარმოადგენს ასევე ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციებში ადვოკატირების უნარ-ჩვევების და სხვა პროფესიული მეთოდოლოგიების ცოდნის არარსებობა.
- განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით პროექტის სამიზნე რეგიონებში. რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი ეროვნული უმცირესობათა სათემო ორგანიზაცია დედაქალაქშია წარმოდგენილი, თუმცა შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო მათი საქმიანობა თბილისის ფარგლებს არ სცდება. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლისაგან განსხვავებით კახეთის სათემო ორგანიზაციები შედარებით რთულ ვითარებაში იმყოფებიან. გამომდინარე იქედან, რომ ეროვნულ უმცირესობებით კომპაქტურად დასახელებული რეგიონები

ინტეგრაციის პოლიტიკის თვალსაზრისით პრიორიტეტს წარმოადგენს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებისათვის სხვა რეგიონების პრობლემატიკა და შესაბამისად ამ რეგიონებში დარეგისტრირებულ სათემო ორგანიზაციებს განვითარების ნაკლები შანსი და შესაძლებლობა გააჩნიათ.

- პროექტის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების განვითარებაზე სხვადასხვა სახელმწიფოების როლიც, ძირითადად იგულისხმება ისტორიული წარმოშობის ქვეყნების საელჩოები. ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში (სომხები და აზერბაიჯანელები) შესაბამისი სახელმწიფოები – სომხეთი და აზერბაიჯანი ძირითადად ორიენტირებული არიან არა კონკრეტული სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერაზე, არამედ უფრო ზოგადი ხასიათის დახმარებაზე, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო, კულტურული საქმიანობის წახალისებას, საქართველოს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობით სხვადასხვა ერთობლივი პროექტების ინიცირებას და ასე შემდეგ. უფრო მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში, წარმოშობის ქვეყნების საელჩოები კულტურული ღონისძიებების დაგეგმვასთან ერთად ცდილობენ კონკრეტული სათემო ორგანიზაციების ფინანსურ და მატერიალურ მხარდაჭერასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მცირე ორგანიზაციებისათვის საელჩოებისაგან მიღებული ეს გრანტები ხშირ შემთხვევაში ერთადერთ საარსებო საშუალებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან ის ორგანიზაციები, რომლებსაც წარმოშობის სახელმწიფო არ გააჩნიათ, კერძოდ ასურელები, უდიები, ქურთები.
- თავად უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების კვლევის გარდა,

პროექტის ფარგლებში გამოკითხულ და გამოკვლეულ იქნა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორია ეთნიკურად უმრავლესობის განსახლების რეგიონებში, კერძოდ თბილისში, იმერეთში, სამეგრელოსა და სვანეთში. აღნიშნული გამოკითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა და გაანალიზება თუ როგორ დამოკიდებულება არსენობს ეთნიკურად ქართულ საზოგადოებაში სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ. კვლევის და გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რომ ქართული მოსახლეობა განსხვავებულად აღიქვამს აღნიშნულ პრობლემატიკას დედაქალაქსა და სხვა ეთნიკურად ქართულ რეგიონებში. კერძოდ თბილისის შემთხვევაში მოსახლეობის უმეტეს ნაწილს გააჩნია შესაბამისი ინფორმაცია ქვეყანაში განსხვავებული ეთნიკური და კულტურული თემების არსებობის შესახებ, ასევე გააჩნიათ მოსაზრებები უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკის ხელშეწყობისათვის, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ტოლერანტობის საერთო პრინციპებს. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა აქვს ადეკვატური ინფორმაცია როგორც ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების, ასევე ზოგადად ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების შესახებ. მართალია ღია აგრესია ეროვნული უმცირესობების მისამართით არც ერთ შეხვედრაზე არ დაფიქსირებულა (გამონაკლისად შესაძლოა მივიჩნიოთ უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება ბოშათა თემის მიმართ), მაგრამ ქართულ საზოგადოებაში, ისევე როგორც ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ ძლიერია ეთნოცენტრიზმი, რაც გამოიხატება ფრთხილ და შიშნარევ დამოკიდებულებაში განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული თემების მიმართ. მთავარი პრობლემა კი აღნიშნული თვალსაზრისით მდგომარეობს მონოეთნიკურ რეგიონებში კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის დეფიციტში.

- დედაქალაქში არსებული სათემო ორგანიზაციების უმეტესობა კონცენტრირებულია სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოში, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა საბჭოს ეფექტურობა ყოველთვის არ არის ხოლმე გარანტირებული. საბჭოს ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული მიმდინარე სახელისუფლებლო ცვლილებებზე. ეროვნულ უმცირესობათა მართვის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ პიროვნულ ფაქტორებზეა დამოკიდებული და არა ინსტიტუციურ მდგრადობაზე. საქართველოს მთავრობაში ამჟამად არსებული საკადრო გადანაწილება მართალია ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს განვითარებისათვის, თუმცა მომავალში მთავრობაში სხვა სახის ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში არ არის გამორიცხული საბჭოს, ისევე როგორც ზოგადად ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის სფეროს გარკვეული საფრთხეები დაემუქროს.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშული პრობლემების და საჭიროებებიდან გამომდინარე პროექტის გუნდი გამოდის შემდეგი რეკომენდაციებით, რომელთა გათვალისწინება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების განვითარებას, ამავდროულად მხარს დაუჭერს სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგად პოლიტიკას. აღნიშნული რეკომენდაციებია:

- ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების განვითარებისათვის სპეციალური საგრანტო პაკეტის შემუშავება, რომელიც განსხვავებით სხვა მსგავსი ინიციატივებისაგან ორიენტირებული იქნება ექსკლუზიურად აღნიშნული ორგანიზაციების შესაძლებლობების ამაღლებაზე, კერძოდ მათ ორგანიზაციულ განვითარებაზე, ხელმძღვანელი პირების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლერებასა და ადვოკატირების პოლიტიკის წარმოების სწავლებაზე;
- ეროვნულ უმცირესობათა თემებში ახალგაზრდა, იმედისმომცემი ლიდერების გამოვლენა და მათთვის შესაბამისი ტრენინგ-კურსების ჩატარება პროექტების მართვაში, ადამიანის უფლებებსა და ადვოკატირებაში;
- ადგილობრივ დონეზე, ეროვნულ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ინფორმაციის მიწოდება სათემო ორგანიზაციების და ზოგადად სათემო მობილიზაციის მნიშვნელობის და აუცილებლობის შესახებ;
- ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავებაში განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ისეთ რეგიონებზე, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიხილებიან ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში,

მაგრამ რეალურად წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობათა განსახლების მნიშვნელოვან რეგიონებს (კახეთი, აჭარა);

- შედარებით მონოეთნიკურ რეგიონებში, სადაც ძირითადად ეთნიკურად ქართულენოვანი მოსახლეობა არის განსახლებული სპეციალური საინფორმაციო კამპანიის ინიცირება და წახალისება, რომელიც ადეკვატურ ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს საქართველოში მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საზოგადოების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნულ საინფორმაციო კამპანიაში საჯარო სკოლების ჩართვა და ფაკულტატურ დონეზე ტოლერანტობის კურსების შეთავაზება.
- საქართველოში მოქმედი ეროვნულ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისთვისასთანავე ძალზედ მნიშვნელოვანია სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს როლი. დღესდღეობით საბჭო ნაკლებად არის ორიენტირებული ცალკეული სათემო ორგანიზაციების საჭიროებებზე და მათი შესაძლებლობების განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი და რეკომენდირებულია, რომ მოხდეს საბჭოს მიდგომების გადახედვა და მისი მიმართვა არა მარტო საკონსულტაციო მიზნების მიღწევისათვის, არამედ ცალკეული თემების გაძლიერებაზე.

ექსპერტთა ინტერვიუს კითხვარი

- სახელი
- თანამდებობა
- ხართ თუ არა ინფორმირებული სათემო ორგანიზაციების შესახებ? გთხოვთ აღწეროთ
- რა იცით ეთნიკური უმცირესობების სათემო ორგანიზაციების საქმიანობაზე?
- რა არის მათი ძლიერი მხარე?
- რა არის მათი სუსტი მხარე?
- უთანამშრომლიათ თქვენთან და რა ფორმით? (არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის) მონაწილეობა პოლიტიკის განვითარებაში და რა ფორმით? (სახელმწიფო სტრუქტურებისთვის) მიღებული დახმარება და რა ფორმით (საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და საელჩოებისთვის). გთხოვთ აღწეროთ და მოიყვანოთ მაგალითები.
- გთხოვთ ჩამოთვალოთ კომუნიკაციის ფორმები და უკუკავშირები, რომელიც თქვენ გქონდათ სათემო ორგანიზაციებთან მუშაობისას, თუ იყო ასეთი შემთხვევა?
- ფიქრობთ თუ არა რომ სათემო ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა უმცირესობათა თემებზე და მთლიან საზოგადოებაზე? მოიყვანეთ მაგალითები.
- ხედავთ თუ არა ეთნიკური უმცირესობების სათემო ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივას საქართველოში? გთხოვთ აღწეროთ.
- ფიქრობთ თუ არა, რომ მათი განვითარება მოახდენს ეთნოსთაშორისო ურთიერთობებს ჰარმონიზაციას? გთხოვთ

აღწეროთ.

- რომელი აუცილებელი პირობები მიგაჩნიათ განვითარებისთვის?
- როგორ შეიძლება თქვენმა ინსტიტუციამ მიიღოს განვითარების პროსესში მონაწილეობა?
- თქვენი აზრით რა არის სათემო ორგანიზაციების მთავარი საჭიროებები?
- რა არის თქვენი აზრით საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მთავარი სამი პრობლემა? გთხოვთ ჩამოწეროთ.
- ხედავთ თუ არა სათემო ორგანიზაციების როლს ამ პრობლემების გადაწყვეტაში?
- რა არის თქვენი რეკომენდაციები სათემო ორგანიზაციებისადმი? გთხოვთ ჩამოწეროთ 3.
- (გთხოვთ აღნიშნოთ 3 სხვა ექსპერტი ინტერვიუს ჩასატარებლად) ფარდობითი

ეთნიკურ უმცირესობების თემთა წარმომადგენლები შეაფასებენ:

- კმაყოფილნი არიან თუ არა ჭეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მომსახურებით,
- ინფორმირებულნი არიან თუ არა ჭეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ, იღებენ თუ არა მონაწილეობას ჭეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საქმიანობაში, თუ კი – რა კუთხით,
- გრძნობენ თუ არა მხარდაჭერას ჭეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მხრიდან,
- გრძნობენ თუ არა, რომ ჭეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციებმა შემოიტანეს ცვლილებები მათ ცხოვრებაში, თუ კი – რა სახით,
- რა პრობლემებს, დაუსრულებელ ამოცანებსა და გამოწვევებს ხედავენ ისინი ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მუშაობაში,
- რა მიაჩნდათ ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგებად, რის შეცვლას მოისურვებდენ ისინი ამ საქმიანობაში.
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის რა პრობლემების გადაჭრა უნდა უზრუნველყონ ეთნიკურ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციებმა

ეთნიკურ უმრავლესობათა წარმომადგენლებმა უნდა შეაფასონ:

- არიან თუ არა ინფორმირებულები მათი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების პრობლემების შესახებ,
- როგორ აღიქვამენ ამ პრობლემებს,
- როგორია მათი დამოკიდებულება ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების მიმართ: მხარდამჭერი, გულგრილი, ეჭვის თვალით უყურებენ ან მტრული დამოკიდებულებაა,
- იციან თუ არა რაიმე ეთნიკურ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების შესახებ,
- როგორია დამოკიდებულება ეთნიკურ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების მიმართ: დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი
- თვლიან თუ არა, რომ ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოში ჰარმონიული ეროვნებათშორისი ურთიერთობების დამყარებაში,
- ცდილობენ თუ არა ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები მათ მხარდაჭერას, რათა გააუმჯობესონ პირობები მათ თემებში.
- რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული განვითარების კუთხით ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხი: ძალიან მნიშვნელოვანია, ზომიერად მნიშვნელოვანი, უმნიშვნელოა.

კითხვარი სატემო ორგანიზაციებისათვის

1. ორგანიზაციის სახელწოდება

- სრული დასახელება:
- შემოკლებული – აბრევიატურა:
- დაარსების თარიღი:
- რეგისტრაციის თარიღი:

2. ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია:

- ქალაქი:
- საფოსტო კოდი:
- ქუჩა:
- ტელეფონი:
- ფაქსი:
- ელექტრონული საფოსტო ყუთის მისამართი:
- ვებგვერდი:
- Facebook:
- Skype:
- სხვა სოციალური ქსელები:

3. აღნიშნეთ საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება?

- უმცირესობათა უფლებები და საერთაშორისო სტანდარტები
- პოლიტიკური მონაწილეობა
- კულურათმორისო დიალოგი
- კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის შენარჩუნება/განვითარება
- ეკონომიკა, მათშორის მიკრო კრედიტები და ბიზნესის განვითარება
- სიღარიბესთან ბრძოლა
- სათემო საქველმოქმედება

- თემის განვითარება
- განათლება,მათშორის სკოლამდელი,სშუალო,უმადლესი. ხანდაზმულთათვის; ფორმალური და არა ფორმალური
- ჯანდაცვა
- მრავლობითი დისკრიმინაცია: მათშორის არიან ქალები უმცირესობათა თემებიდან და ადამიანები ინვალიდობით
- ახალგაზრდული აქტივობები
- ოჯახური ძალადობა
- სახალხო დიპლომატია და მშვიდობა
- სხვა (დააკონკრეტეთ)

აღნიშნეთ მოცემული ჩამონათვალიდან საქმიანობის სამი პრიორიტეტული სფერო

- 1.
- 2.
- 3.

4. მთავარი აქტივობები

- საინფორმაციო და შემეცნებითი საქმიანობა
- საგანმანათლებლო
- კვლევითი საქმიანობა
- ადვოკატირება
- ლობირება
- საზოგადოებრივი პოლიტიკა
- ქველმოქმედება და არამომგებიანი მეწრმეობა
- მომსახურება და პირდაპირი დახმარება
- სხვა (დააკონკრეტეთ)

აღნიშნეთ მოცემული ჩამონათვალიდან საქმიანობის სამი

პრიორიტეტული სფერო

- 1.
- 2.
- 3.

5. ჩამოთვალეთ თუ რომელ ჯგუფებთან მუშაობს თქვენი ორგანიზაცია?

- ეთნიკური უმცირესობები
- აკადემიური წრეები
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- პოლიტიკური პარტიები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამართალდამცავი ორგანოები
- ადგილობრივი თვითმართველობა
- სახელმწიფო უწყებები
- მედია
- ქალები
- ბავშვები
- ახალგაზრდობა
- სოფლად მაცხოვრებლები
- ხანდაზმული ადამიანები
- ადამიანები ინვალიდობით
- სხვა (დააკონკრეტეთ)

6. საქმიანობის გეოგრაფია

- ადგილობრივი დონე-დასახელებით მუნიციპალიტეტი, ქალაქი, სოფელი, დაბა

-
- ეროვნული დონე
 - რეგიონალური დონე - სამხრეთ კავკასია - (კონკრეტულად)

- საერთაშორისო დონე

7. ჩამოთვალეთ რა ტიპის მომსახურებას სთავაზობს ორგანიზაცია?

- ენის, ისტორიის და კულტურის კურსები
- სამართლებრივი კონსულტაციები
- ფსიქოლოგიური კონსულტაციები
- ორგანიზაციული განვითარების კონსულტაციები
- ტრენინგები (მათ შორის აქვს თუ არა ორგანიზაციას სატრენინგო მოდულები)
- კომპიუტერული კურსები
- უცხო ენების შემსწავლელი კურსები
- ბიზნესის განვითარების კონსულტაციები
- ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემის გავრცელება
- პირველი საჭიროების საქონლის გავრცელება

8. გააჩნია თუ არა ორგანიზაციას ოფისი?

- დიახ
- არა

9. გააჩნია ორგანიზაციას სპეციალური ტექნიკა (ფოლგების დემონსტრაციისთვის, დოკუმენტაციის ბეჭდვისათვის და სხვა)

- დიახ
- არა

დადებითად შეფასების შემთხვევაში დააკონკრეტეთ

10. რამდენი მუდმივ-მოქმედი თანამშრომელი გყავთ?

- 1-3
- 3-5
- 5-7
- 7-9
- 9 და მეტი

11. გყავთ თუ არა მოხალისეები?

- დიახ
- არა
- დადებითად შეფასების შემთხვევაში დააკონკრეტეთ
- მოხალისეები საქართველოდან
- მოხალისეები სხვა ქვეყნიდან

12. გააჩნია ორგანიზაციას საკმარისი ტექნიკური აღჭურვილება?

- დიახ
- არა

უარყოფითად შეფასების შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რატომ და რა ტიპის ტექნიკური ერთეული გესაჭიროებათ

13. გააჩნია თუ არა ორგანიზაციას ბიბლიოთეკა?

- დიახ
- არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ როგორ განახლდება ბიბლიოთეკა?

ვინ არის ბიბლიოთეკის ძირითადი მომხმარებელი?

14. გააჩნია თუ არა ორგანიზაციას საკონფერენციო დარბაზი ?

- დიახ
- არა

სარგებლობენ თუ არა თქვენი რესურსებით სხვა ორგანიზაციები/ პირები?

- დიახ
- არა

დადებითი შეფასების შემთხვევაში მიუთითეთ ვინ იყენებს და რამდენად ხშირად?

- ერთხელ თვეში
- ერთხელ კვარტალში
- სხვა

მომსახურება სხვა ორგანიზაციებისათვის

- ფასიანი
- უფასო

15. ააჩნია თუ არა ორგანიზაციას შესაბამისი რაოდენობა კომპიუტერებისა?

- დიახ
- არა

16. ხელმისაწვდომია თუ არა ინტერნეტი

- დიახ
- არა

დადებითი შეფასების შემთხვევაში დააკონკრეთ

- DSL მომსახურება,
- უკაბელო
- მობილური ინტერნეტი
- Magti Fix, Dialup
- Silk Net,
- Jeosell, Dialup
- Magti EVDO model,
- Jeosell Jeoconnect

17. ატარებს თუ არა ორგანიზაცია კვლევებს?

- დიახ
- არა

დადებითი შეფასების შემთხვევაში დააკონკრეთ კვლევის სახელწოდება

დაფინანსების წყარო
გამოცემულია თუ არა
გამოცემის მისამართი?

18. ჩამოთვალეთ ყველაზე მეტად რა ესაჭიროება ორგანიზაციას?

19. თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება:

- ტრენინგები-მიუთითეთ რა თემაზე
- ტექნიკური საშუალებები (ოფისი და სხვა)
- პროგრამული საქმიანობის დაფინანსება

20. ჩამოთვალეთ რამოდენიმე ძირითადი პრობლემური ზონები, რომლებიც ეხება ეთნიკური უმცირესობათა უფლებებს, მრავალფეროვნებასა და თანასეორუფლებიანობას?

21. ძირითადად რომელი საინფორმაციო წყაროებით სარგებლობთ (თითოეული კატეგორიისათვის აღნიშნეთ 3 ვარიანტი)?

- გაზეთი
- ტელევიზია და რადიო
- ინტერნეტი

22. მონაწილეობს თუ არა ორგანიზაცია უმცირესობათა უფლებების ლობირებაში?

- დიახ
- არა

23. დადებითად შეფასების შემთხვევაში დააკონკრეტეთ?

24. მონაწილეობს თუ არა ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში?

- დიახ
- არა

დადებითი შეფასების შმთხვევაში დააკონკრეტეთ

25. მუშაობს თუ არა ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეპრაციისა და ტოლერანტობის კონცეფციის სამოქმედო გეგმის რეალიზებაში?

26. ახორციელებს ორგანიზაცია პარტნიორულ პროექტებს?

- დიახ
- არა

27. დადებითი შეფასების შმთხვევაში დააკონკრეტეთ?

28. რამდენად ინფორმირებულები არიან საზოგადოებაში და დაინტერესებულ წრეებში თქვენი საქმიანობის შესახებ ადგილობრივი, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე?

- მაღალი
- საშუალო
- არ არსებობს ინფორმაცია

29. თქვენი ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივები?

- კარგი
- საშუალო
- უპერსპექტივო

30. გთხოვთ დაასახელოთ 3 ძირითადი პარტნიორი

- სახელმწიფო უწყებების დონეზე
-
-
-

- საერთაშორისო დონეზე
-
-
-

-
- არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე

- აკადემიურ წრეებში

31. ხართ გაწევრიანებული რომელიმე ქსელში?

- ადგილობრივი
- რეგიონალური
- საერთაშორისო

დააკონკრეტეთ

32. ჩამოთვალეთ 3 ძირითადი დონორი ორგანიზაცია

33. კმაყოფილი ხართ დონორული ორგანიზაციების საქმიანობით უმცირესობათა ინტერესების კუთხით.

34. კმაყოფილი ხართ დონორებთან კომუნიკაციის პირობებით?

35. რა შეიძლება შეიცვალოს დონორებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით?

#	დაწესებულება
	სახელმწიფო ინსტიტუტები
1	რეინტეგრაციის სამინისტრო
2	ეროვნული უშიშროების საბჭო
3	სახალხო დამცველი
4	ცენტრალური საარჩევნო კომისია
5	პარლამენტის ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
6	მარნეულის გამგეობა
7	ქვემო ქათლის გუბერნატორის ოფისი
8	ახალქალაქის გამგებელი
9	სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ოფისი
10	პრეზიდენტის მრჩეველი
11	საზოგადოებრივი მაუწყებელი
	სამოქალაქო ინსტიტუტები
12	UNAG
13	CIDA
	ადგილობრივი დონორები
14	EpF
15	IFES
16	OSGF
	საელჩოები და დიპლომატიური სამსახური
17	ნიდერლანდების საელჩო
18	ისრაელი
19	აზერბაიჯანი
20	სომხეთი
21	რუსეთის ფედერაციის საკონსულო
22	გერმანია
23	პოლონეთი
24	ლატვია
25	ლიტვა
26	უკრაინა
27	აშშ საელჩო

თემა ჩამონათვალი

1. აზერბაიჯანელები
2. სომხები
3. ასურელები
4. უკრაინელები
5. ლატვიელები
6. ჩეხები
7. რუსები
8. ოსები
9. უდიები
10. პოლონელები
11. ბოშები
12. ჩეჩნები
13. ქისტები
14. ბერძნები
15. გერმანელები
16. ეზიდები
17. ლიტველები
18. ებრაელები

სათემო ორგანიზაციების ჩამონათვალი

1.	საერთაშორისო კულტურულ-შემეცნებითი კავშირი «რუსული კლუბი»
2.	საქართველოს ახალგაზრდა აზერბაიჯანელთა კავშირი
3.	პანკისის უხუცესთა(ქალთა)საბჭო
4.	ასურელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესი
5.	საქართველოს აზერბაიჯანელთა ახალგაზრდული ფორუმი
6.	ასოციაცია «მრავალეროვანის საქართველოს ქალები»
7.	საქართველოში ჩეჩენი ტოლვილთა საკოორდინაციო საბჭო
8.	საქართველოს გერმანელთა ასოციაცია «აინუნგი»
9.	თბილისის სომეხთა ასამბლეია
10.	საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა
11.	ჭურნალისტთა კავშირი «ქართულ-უკრაინული პრესისა და წიგნის სახლი»
12.	საქართველოს ლატვიელთა საზოგადოება “ავესოლ”
13.	საზოგადოება «საქართველოს ესტონელები»
14.	დემოკრატიული კავშირი «მტრედი»
15.	სამართლიანობი და დემოკრატიის ევროპულ-სომხური ფედერაცია-საქართველო
16.	ებრაელ ქალთა საერთაშორისო ფონდი - ლეა
17.	ახალქალაქის ბიზნეს ცენტრი
18.	ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია “ფაროსი”
19.	საქართველოს სომეხთა კავშირი
20.	”სამშკცხე ჯავახეთის მომხმარებელთა კავშირი”
21.	საქართველოს ოსთა ასოციაცია “ფიდატი”
22.	საქართველოს ქურთული ახალგაზრდობის კავშირი
23.	საზოგადოებრივი განვითარების ასოციაცია “მომავლის კორპუსი”

